საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა - კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: მ. ბ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 25.06.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 084/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ გ. ქ.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ გ. ქ.-ისათვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2019 წლის 25 ივნისს საჩივრით მომართა მ. ბ.-მა და მოითხოვა ადვოკატ გ. ქ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება და გადაცემული მომსახურების ჰონორარის დაბრუნება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2016 წელს დახმარების მიზნით მიმართა ადვოკატ გ. ქ.-ს, საქმე ეხებოდა იპოთეკით დატვირთული უძრავ ქონებას, რომელზეც მიმდინარეობდა აღსრულება. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი გ. ქ. დაპირდა, რომ შეაჩერებდა აღსრულების პროცესს და მას ჰონორარის სახით 1500 აშშ დოლარი უნდა გადაეხადა, ხოლო

საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, საჩივრის ავტორი, დამატებით გადაუხდიდა იმ თანხის ნახევარს, რომლის გადახდისგანაც იგი გათავისუფლდებოდა. მხარეთა შორის დაიდო იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება და შეთანხმებისამებრ, ადვოკატს გადაუხადა მომსახურების საფასური 1500 აშშ დოლარის ოდენობით.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა შეაჩერა აღსრულების პროცესი, რის შემდეგაც, უფრო მეტი ნდობა და პატივისცემა გაუჩნდა მის მიმართ.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტავს, რომ ადვოკატთან კომუნიკაცია საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღებისთვის ტელეფონისა და უშუალოდ ადვოკატის ოფისში შეხვედრით ხდებოდა.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, თავისი იპოთეკარი ნ. პ.-ისგან შეიტყო იმის შესახებ, რომ ადვოკატმა გ. ქ.-მა სასამართლო პროცესი მორიგებით დაამთავრა, მორიგების შინაარსი კი ეწინააღმდეგებოდა მის ნებას, რადგან მორიგებით ადვოკატი მთლიანად დაეთანხმა მოსარჩელის მოთხოვნას ხოლო მისი ინტერესი რის გამოც ის დაიქირავა, გათვალისწინებული არ იყო. მისი განმარტებით, ადვოკატმა მორიგება დადო მასთან შეუთანხმებლად, იპოთეკარის სასარგებლოდ.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტავს, რომ მორიგების ფაქტთან დაკავშირებით, ადვოკატ გ. ქ.-ს ოფისში მიაკითხა, უსაყვედურა და ახსნა-განმარტება მოსთხოვა, თუ რატომ არ შეათანხმა მორიგების პირობები მასთან. ადვოკატმა უპასუხა, რომ არსებულ საქმეში მორიგება სწორად მიაჩნდა და სხვადასხვა მიზეზებით შეეცადა პოზიციის დადასტურებას.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა განუცხადა, რომ დასრულდა სასამართლო პროცესი, გასწია იურიდიული მომსახურება, მართალია საქმე ვერ მოიგო, მაგრამ დრო დახარჯა და ამიტომ საჭირო იყო მისთვის ჰონორარის სახით 3800 აშშ დოლარის გადახდა. მისი განმარტებით, ადვოკატი დაემუქრა, თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში სერიოზული პრობლემები შეექმნებოდა.

1.8 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ გარკვეული დროის შემდეგ გ. ქ. დაუკავშირდა და თანხის გადახდისთვის 5 დღის ვადა მისცა, რის გამოც საჩივრის ავტორს დასჭირდა სესხის ასაღებად ბანკში მისვლა, სადაც შეიტყო, რომ მისი ბინა ადვოკატ გ. ქ.-ის მიერ დაყადაღებული იყო.

1.9 საჩივრის ავტორის განმარტებით, გ. ქ.-ს ნაცვლად იმისა, რომ პროფესიული ვალდებულება კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად შეესრულებინა, კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებდა. ადვოკატს მისთვის არ გადაუცია არც გადაწყვეტილება და არც დოკუმენტაცია, ამ ეტაპზე კი, ის იმყოფება დოკუმენტაციის მოძიების პროცესში.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა გ. ქ.-მა 2019 წლის 10 ივლისს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ მ. ბ.-მა იურიდიული დახმარებისთვის მომართა კომპანია შპს „---“-ს, რომლის დირექტორიც თავად არის და განუმარტა, რომ მისთვის სასიცოცხლოდ

მნიშვნელოვანი იყო მის საკუთრებაში რეგისტრირებული, იპოთეკით დატვირთულ უძრავ ნივთთან მიმართებით მიმდინარე იძულებითი აღსრულების შეჩერება მინიმუმ 3 თვით, ხოლო უფრო მეტი ვადით შეჩერების შემთხვევაში იგი მზად იყო გადაეხადა თვეში 500 აშშ დოლარი. კლიენტს დრო სჭირდებოდა კრედიტორებთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარებისთვის. მხარეებს შორის შეთანხმდა მომსახურების პირობები, რის საფუძველზეც მ. ბ.-ს და შპს „---"-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება იურიდიული და წარმომადგენლობითი მომსახურების გაწევის შესახებ.

2.2 ადვოკატის განმარტებით, შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები შესრულებულ იქნა დროულად, ხარისხიანად და დადგა კლიენტისათვის სასურველი შედეგი. აღნიშნულის თაობაზე 2017 წლის 20 თებერვალს მათ შორის შედგა მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც მ. ბ.-მა აიღო მომსახურების ღირებულების გადახდის ვალდებულება და იქვე დააფიქსირა, რომ შემსრულებელთან არანაირი პრეტენზია არ გააჩნდა.

2.3 ადვოკატის განმარტებით, აღებული ვალდებულება მ. ბ.-მა არ შეასრულა - ადვოკატს არ გადაუხადა მომსახურების ღირებულება, რის გამოც შპს „---"-მა მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს დავალიანების გადახდევინების მოთხოვნით. ადვოკატი განმარტავს, რომ მას შემდეგ რაც მ. ბ.-მა დაფარა კომპანიის წინაშე აღებული ფულადი ვალდებულება, კომპანიამ უარი თქვა სარჩელზე და საქმის წარმოება შეწყდა.

2.4 ადვოკატი განმარტავს, რომ მ. ბ.-ის უძრავი ნივთი, რომლის მიმართაც მიმდინარეობდა იძულებითი აღსრულება იპოთეკით იყო დატვირთული მისი დეიდაშვილის - ნ. ზ.-ის სესხის უზრუნველსაყოფად. ადვოკატი განმარტავს, რომ ნ. ზ.-ის მიმართ შპს ,,---"-ი აწარმოებს სამოქალაქო დავას თანხის დაკისრების მოთხოვნით. მისი განმარტებით, ნ. ზ.-ს შეტანილი აქვს საჩივარი ეთიკის კომისიაში, ამით ის ცდილობს ზემოქმედება მოახდინოს კომპანიის წარმომადგენლობაზე, რადგან შპს „---"-მა უარი თქვა მის სასარჩელო მოთხოვნაზე. სწორედ ამიტომ, ადვოკატი მიიჩნევს, რომ მ. ბ.-ის საჩივარიც არის მისი დეიდაშვილის მიმართ „სოლიდარობის" გამოხატულება და ემსახურება იგივე მიზანს.

2.5 საპროცესო კოლეგიის სხდომაზე 2019 წლის 10 სექტემბერს ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ ყველა მოქმედება მხარესთან შეთანხმებული იყო, მათ შორის მორიგების პირობებიც. მისი განმარტებით, მ. ბ.-მა მორიგების პირობების შესასრულებლად ერთი თვის ვადა მოითხოვა.

2.6 ადვოკატმა ასევე განმარტა, რომ მ. ბ.-ს არასოდეს გამოუთქვამს პრეტენზია კომპანიის მიმართ და მათ ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, ეს კი მ. ბ.-ს არაერთხელ უღიარებია.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობის შემოწმება:

3.1 ადვოკატი გ. ქ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი.

3.2 მ. ბ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2019 წლის 25 ივნისს.

3.3 სადავო მოქმედება განხორციელდა 2016-2017 წლებში. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ გ. ქ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ გ. ქ.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი არ მოქმედებდა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად, არ ათანხმებდა სამოქმედო სტრატეგიას მასთან, მორიგების აქტი ისე გააფორმა მოწინააღმდეგე მხარესთან, რომ მისთვის ამის თაობაზე აზრი არ უკითხავს.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ გ. ქ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები".

5.2.2 აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა."

5.2.3 აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი: ,,ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წამოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ".

5.3 ადვოკატმა თავის საქმიანობა უნდა განახორციელოს კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად, რაც გულისხმობს იმ ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას, რომლებიც მან, როგორც ადვოკატმა, აიღო კლიენტთან შეთანხმებით, მისი საქმის საწარმოებლად.

5.4 ეთიკის კომისიამ 2015 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში /დისციპლინურ საქმეზე 062/15/ განმარტა, რომ ,,ადვოკატი განსაზღვრავს პროფესიული საქმიანობისას სტრატეგიას, იურიდიულ მოქმედებათა სახეებს, რჩევის ტენდენციასა და მტკიცებულებათა შერჩევას, მათი რელევანტურობის კუთხით კლიენტის ინტერესებისათვის. კლიენტს სრული უფლება აქვს გამოხატოს ეჭვი, პრეტენზია ადვოკატის მოქმედებათა ტენდენციაზე, მტკიცებულებათა შერჩევის სისწორეზე, თუმცა ადვოკატის როლი სწორედ მის კომპეტენტურობაშია და

როგორც წესი იგულისხმება, რომ ადვოკატი - როგორც სპეციალისტი, შეარჩევს კლიენტის ინტერესებისათვის მომგებიან იურიდიულ მხარეს.“

5.5 ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით ეთიკის კომისიამ 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე N074/10 განმარტა, რომ ,,ადვოკატის მოვალეობაა კლიენტს მიაწოდოს ყველა ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას, რათა კლიენტმა იცოდეს მის მიერ მინდობილი საქმის მსვლელობის თაობაზე... ადვოკატის აღნიშნული ვალდებულება პირდაპირ კავშირშია კლიენტის ინტერესებთან, რადგან კლიენტი წარმოადგენს საქმის შედეგით დაინტერესებულ პირს და მნიშვნელოვანია ის ფლობდეს ინფორმაციას მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე.“ ეთიკის კომისიამ კლიენტის დროული ინფორმირება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილებას დაუკავშირა 2012 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე N092/11, სადაც განმარტა, რომ ,,ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება უკავშირდება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილებას, კლიენტი ჩართულია საქმის მიმდინარეობის თაობაზე და აქვს შესაძლებლობა, გონივრულად მართოს საკუთარი ქმედებები. ადვოკატი ვალდებულია განუმარტოს კლიენტს საკითხები ზედმიწევნით, რაც კლიენტს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები.“

5.6 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის 2016 წლის 4 მარტს, წერილობითი ფორმით დაიდო იურიდიული და წარმომადგენლობითი მომსახურების ხელშეკრულება. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა დამკვეთისათვის იურიდიული და წარმომადგენლობითი მომსახურების გაწევა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე იპოთეკართან წარმოებულ მოლაპარაკებებსა და სასამართლო დავაში - შემსრულებლის ადვოკატების მეშვეობით; დამკვეთის ინტერესს წარმოადგენდა მოცემული ხელშეკრულების ხელმოწერიდან 3 თვის ვადაში არ ჩანიშნულიყო აუქციონი იპოთეკის საგნის რეალიზაციის მიზნით; მაქსიმალურად ყოფილიყო შემცირებული იპოთეკარისათვის გადასახდელი თანხის ოდენობა; ხელშეკრულებით განისაზღვრა დავის საგნის ღირებულება, რომელიც შეადგენდა 20 040 აშშ დოლარის ექ. ლარში და 120 ლარს.

5.7 ადვოკატმა კლიენტის საქმეზე განახორციელა საადვოკატო მოქმედებები, რომლებიც საქმის წარმატებით დასრულებისკენ იყო მიმართული. ადვოკატის მოქმედების შედეგად შეჩერდა აღსრულების პროცესი 2016 წლის 9 მარტიდან 2017 წლის 1 მარტამდე. სასამართლოში მიმდინარე საქმის წარმოება შეწყდა მხარეთა მორიგების გამო, 2016 წლის 19 ოქტომბრის განჩინების საფუძველზე. შემკვეთი მ. ბ. იწონებს ადვოკატის მიერ გაწეულ მომსახურებას, რაც ასახულია მ. ბ.-სა და გ. ქ.-ს შორის 2017 წლის 20 თებერვალს გაფორმებულ შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტში.

5.8 საპროცესო კოლეგია, მხარეთა ახსნა-განმარტებიდან გამომდინარე დადგენილად მიიჩნევს რომ მხარეებს შორის, მუდმივად იყო როგორც სატელეფონო კომუნიკაცია, ასევე ისინი

პირადად საუბრობდნენ ადვოკატის ოფისში. საჩივრის ავტორი მუდმივად კითხულობდა საქმის დეტალებს და ფლობდა ინფორმაციას თავისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე. შესაბამისად, ადვოკატს არ დაურღვევია საქმის კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად წარმოებისა და კლიენტის ინფორმირების ვალდებულება.

5.9 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატს არ ეკუთვნის ჰონორარი 3800 აშშ დოლარი, აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის ფარგლებში:

,,კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან წარმოების პროცესში. კლიენტისათვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი.“

5.10 საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას.

5.11 ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ შპს „---“-სა და მ. ბ.-ს შორის 2017 წლის 20 თებერვალს ხელი მოეწერა შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტს, რომლის მე-4 ნაწილის გათვალისწინებით „შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით დამკვეთს შემსრულებელთან არანაირი პრეტენზია არ გააჩნია.“ აღნიშნულ აქტს მხარეები ეთანხმებიან, რაც მათი ხელმოწერით დასტურდება. შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტში გაწერილია ადვოკატის ჰონორარი - 3825 აშშ დოლარი. კოლეგია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ მან აქტს ხელი

მოაწერა ადვოკატის ზემოქმედების შედეგად, რადგან მას აღნიშნული პრეტენზიის დამადასტურებელი მტკიცებულება არ წარმოუდგენია. ადვოკატის მიერ კუთვნილი ჰონორარის კანონიერი საშუალებით მოთხოვნა - სასამართლოსთვის მიმართვა და მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების გამოყენება, არ წარმოადგენს ეთიკურ გადაცდომას. შესაბამისად, კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ გ. ქ.-ს არ დაურღვევია აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილით გათვალისწინებული ეთიკური დანაწესი.

5.12 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის 32–ე და 33–ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N084/19 ადვოკატ გ. ქ.-ის მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/